

ქალაქ ქუთაისში, კიევის ქ. N8 საცხოვრებელი სახლის N31 ბინაზე,
მოქალაქე შინა აბღალაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა
და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამი განხილული იქნა მოქალაქე შინა აბღალაძის განცხადება /2012 წ. 29.06 №-5153/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მღებარე ქალაქ ქუთაისში, კიევის ქ. N8 საცხოვრებელი სახლის N31 ბინა/ საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, კიევის ქ. N8 საცხოვრებელი სახლის N31 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე შინა აბღალაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარაშია/ ქალაქ ქუთაისში, კიევის ქ. N8 საცხოვრებელი სახლის N31 ბინაზე /საერთო ფართობი 27,87 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 27,87 კვ.მ. საზაფხულო ფართობი 1.00 კვ.მ./ მოქალაქე შინა აბღალაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე